ოქმი:**ო31. 3124298001**
თარიღი:**24/10/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N13

ქ. ლანჩხუთი

22. 10. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 15 წევრი.

მომხრე საკრებულოს 15 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ეკა კუკულაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სულხან წილოსანისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5.სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 15 წევრი.

მომხრე საკრებულოს 15 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 10/08/2015 წელი, სარეგისტრაციო კოდი 210020020.35.112.016235) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-5 მუხლის ,,ე“ პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%;“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N14 (22.10.2024).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 05 აგვისტოს N1101 განკარგულებით შესული ცვლილებებით, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ „საქართველოს 2024 წლის გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამეყო 5000000 ლარი, რომელიც მიიმართება: შიდა გზების რეაბილიტაციაზე 2918522 ლარი, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე 707871 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 647830 ლარი, ნაპირსამაგრების რეაბილიტაციაზე 725777 ლარი.

საქართვლოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2402 განკარგულებით მიმდინარე წლის 03 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N1403 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგიჩაიშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ. ებრალიძის, საფო მგელაძის და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება გაიზარდა 144424 ლარით და განისაზღვრა 3650241 ლარი; აქედან, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3467728 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 182513 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N49 (22.10.2024).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ეკა კუკულაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას N 10/302409614-30 წერილით მომართა მოქალაქე ეკა კუკულაძემ (პ/ნ 26001005749) რომელშიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. ლანჩხუთში მდინარაძის ქუჩა N2-ში მდებარე N 27.06.56.072.01.503 (ძველი ს/კ 27.06.56.072.01.502) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ 33,45 კვ.მ ფართზე სარგებლობის ვადის გაგრძელებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გაიცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 2 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში მდინარაძის ქუჩა N2-ში მდებარე N 27.06.56.072.01.503 (ძველი ს/კ 27.06.56.072.01.502) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებული 33,45 კვ.მ ფართი და აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 43 150 ლარის 13% რაც შეადგენს 5 609,5 ლარს - თვეში 467,46 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N50 (22.10.2024).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სულხან წილოსანისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2024 წლის 16 ოქტომბერს N19/302429038-30 წერილით მომართა მოქალაქე სულხან წილოსანმა, რომლითაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ლანჩხუთში მდინარაძის ქუჩა N2-ში მდებარე, N27.06.56.072.01.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 18.25 კვ.მ. ფართის სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, ქირავნობის ფორმით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, მოქალაქე სულხან წილოსანს გადაეცეს 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ქ. ლანჩხუთში მდინარაძის ქუჩა N2-ში მდებარე N27.06.56.072.01.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების 18.25 კვ.მ. ფართი. ხოლო, აღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, ფართის საბაზრო ღირებულების - 23 500 ლარის 13%-ის ოდენობით, 3 055 ლარით, რაც შეადგენს თვეში - 254.59 ლარს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N51 (22.10.2024).

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 ოქტომბერი **2024** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55	
2	ემზარ თევდორაძე	12 00	
3	ვერიკო კვირკველია	11.59	
4	გიორგი ჩახვაძე		
5	გიორგი ხელაძე	ქვორუმი	
6	ალექსანდრე მახათაძე	12 00	
7	ზაზა წულაძე	11 55.	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 52	
10	ია მოქია	11:50	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე		
13	ვლადიმერ ნანაძე	11 50	
14	კარლო წილოსანი	11 52	
15	ლოლიტა ურუშაძე	12 00	
16	ნინო მშვიდობაძე	12 00	
17	გოგი მორჩილაძე	12 00	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	
19	გიორგი გოგუაძე		
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 45	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე		